ნიქოზის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი

გორის რაიონი, სოფელი ნიქოზი

551 112 902

nikozimedcenter@yahoo.com

NIKOZI PRIMARY HEALTH CENTER

Gori District Nigozi

551 112 902

nikozimedcenter@yahoo.com

N143

თარიღი: 30.08.2023წ.

გორის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ვლადიმერ ხინჩეგაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

როგორც მოგეხსენებათ შპს ნიქოზის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი ახორციელებს იაპონიის საელჩოს პროექტის ფარგლებში მობილური კიბოს სკრინინგცენტრის მოწყობის სამუშაოებს. იაპონიის საელჩოს პროექტის ფარგლებში შევიძინეთ, ავტომანქანა და სამედიცინო ტექნიკა. ჩვენი თანამონაწილეობის ფარგლებში გაცნობებთ, რომ დაკონტრაქტებულმა კომპანიამ დაასრულა ავტომანქანის მოწყობის სამუშაოები რომელიც გათვალისწინებულია სსიპ ბირთვული და რადიაციული სააგენტოს ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად.

შპს ნიქოზის პირველადი ჯანდაცვის ცენტრმა სამუშაოების დაწყებისას 01 ივნისის N08/04-23 ხელშეკრულების შესაბამისად ავანსის სახით უკვე გადარიცხა 17468.5 ლარი. გადასახდელი დარჩენილია 14709.00 ლარი.

გიგზავნით ჩვენი თანამონაწილეობის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების ამსახველ დოკუმენტაციას. (ხელშეკრულება, შეთანხმება მომსახურების მიღება ჩაბარებისა და ხელშეკრულების ცვლილების შესახებ, ხარჯთაღრიცხვა, საპროექტო განაცხადი, საბანკო რეკვიზიტები.)

გთხოვთ ნიქოზის პირველადი ჯანდაცვის ცენტრის თანამონაწილეობის საპროექტო განაცხადისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად მოახდინოთ დარჩენილი თანხის დაფარვა.

პატივისცემით
შპს ნიქოზის პირველადი ჯანდაცვის ცენტრის
დირექტორი

ნიკოლოზ ძ. მუკაშვილი

ლიბერთი
ბანკი ყველაფერ და ყველასთვის

ს.ს. "ლიბერთი ბანკი"
ი. ჭავჭავაძის გამზირი 74
თბილისი, 0162, საქართველო
ტელ: +995 (32) 255 55 00
ფაქსი: +995 (32) 255 55 04
www.libertybank.ge
info@libertybank.ge

ლიბერთი ბანკის ინტერნეტ ბანკინგი - თქვენი ანგარიშების მართვის საუკეთესო გზა!

ლარის ანგარიშის რეკვიზიტები

მიმღების ბანკი:	**ს.ს. "ლიბერთი ბანკი"** ბანკის კოდი: **LBRTGE22**
მიმღების ანგარიში:	**GE08LB0113131102153001**
მიმღების დასახელება:	**შპს ნიქოზის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი**

FOR GEL TRANSFERS

BENEFICIARY`S BANK:	**JSC Liberty Bank** BANK CODE: **LBRTGE22**
BEN`S IBAN:	**GE08LB0113131102153001**
NAME OF BENEFICIARY:	**LLC NIQOZI PRIMARY HEALTH CENTER**

ხელშეკრულება # 08/04-23

ქ. თბილისი

01 ივნისი 2023 წ

ჩვენ, ქვემოთ ხელმომწერნი, ერთის მხრივ **შპს ნიქოზის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი, ს/კ217889266** (შემდგომში **„შემსყიდველი“**), წარმოდგენილი მისი დირექტორის **ნიკოლოზ ძამუკაშვილის, პ/ნ: 59001027072;** სახით და მეორეს მხრივ **შპს გარემოს დაცვის კომპანია, ს/კ: 433643300** (შემდგომში **„მიმწოდებელი“**), მისი დირექტორის **ლაშა მურვანიძის, პნ:26001003153;** სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი:

1.1. მობილური კლინიკის მომზადების, მამოგრაფიის და გინეკოლოგიური გასასინჯი კაბინეტებისათვის რადიაციული დაცვის საშუალებების ადგილზე მონტაჟის და სალიცენზიოდ მომზადების მომსახურების მიწოდება.

1.2. მისაწოდებელი საქონელის რაოდენობა განისაზღვრა წინამდებარე ხელშეკრულებას თანდართული ხარჯთაღრიცხვის სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.3. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის საფუძველზე.

1.4. მიწოდების ადგილი გორის რაიონი სოფ. ნიქოზი

2. ხელშეკრულების ღირებულება და მოქმედების ვადა

2.1. მისაწოდებელი საქონლის და მონტაჟის ღირებულება განისაზღვრა წინამდებარე ხელშეკრულებას თანდართული ინვოისის რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და შეადგენს **34937.05 (ოცდათოთხმეტი ათასს ცხრაას ოცდაჩვიდმეტი ლარი და 05 თეთრი)** ლარს დღგ–ჩათვლით.

2.2. „მიმწოდებელი“–ს მიერ გაწეული ყველა მომსახურების ღირებულება, რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებით, ანაზღაურდება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

2.3. „მიმწოდებელი“-ს მიერ გაწეული მომსახურების (წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. პუნქტით გათვალისწინებული) ღირებულება წარმოდგენილია, დღგ-ს (დამატებითი ღირებულების გადასახადი) გათვალისწინებით.

2.4. წარმოდგენილია ნაწილობრივი გადახდა პირველადად მთლიანი ღირებულების 50% ოდენობით (თანხობრივად **17468.50 ლარი (ჩვიდმეტი ათას ოთხას სამოცდარვა ლარი და 05 თეთრი)**

ხოლო დარჩენილი თანხის დაფარვა განხორციელდება სამუშაოს დასრულებიდან (შესაბამისი ანგარიშ–ფაქტურის წარდგენიდან) **5 (ხუთი)** სამუშაო დღის ვადაში.

2.5. მხარეთა შეთანხმებით დადგენილია რომ დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. პუნქტში მითითებული ფასების რაიმე ფორმით ცვლილება, შემცირება ან გაზრდა.

2.6. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 45 კალენდარული დღე ვადის ათვლა დაიწყება 2.4. პნქტით გათვალისწინებული მთლიანი ღირებულების 50%–ის (თანხობრივად 17468.50) ოდენობით გადახდის დღიდან.

3. ანგარიშსწორების ფორმა

3.1. ანგარიშსწორების ფორმად გამოიყენება მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორება.

3.2. წინამებარე ხელშეკრულების 2.1.-ე პუნქტის შესაბამისად შემსრულელის სასარგებლოდ დამკვეთი იხდის მომსახურების საფასურს შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულებისა და შესაბამისი ანგარიშ–ფაქტურის წარდგენიდან **5 (ხუთი)** სამუშაო დღის ვადაში.

3.3. შემსყიდველის მიერ ნასყიდობის თანხის გადახდის (ჩარიცხვის) დაგვიანება არ ჩაითვლება წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევად თუ ვადაგადაცილება გამოწვეულია შემსრულებელის მიერ საბანკო ანგარიშის მონაცემების მიუწოდებლობის, ან არასწორად მიწოდების გამო;

4. სამუშაოების მიღება-ჩაბარების წესი

4.1. სამუშაოების გაწევის თაობაზე მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლები აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი/შემსრულებელი ვალდებულია:

5.1.1. გასწიოს ხელშეკრულებიის განსაზღვრული მომსახურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

5.1.2. შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს მას ინფორმაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების თაობაზე.

5.1.3. განახორციელოს მომსახურება/ პროცედურები მაღალკვალიფიციური, პროფესიონალი სპეციალისტების მეშვეობით საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2. მიმწოდებელი/შემსრულებელი უფლებამოსილია:

5.2.1. მოითხოვოს გაწეული მომსახურების ღირებულების დროული და სრული გადახდა წინამდებარე ხელშეკრულების დადგენილი წესით.

5.2.2. მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების დაცვა.

5.2.3. მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებით, შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

5.3. შემსყიდველი/დამკვეთი ვალდებულია:

5.3.1. გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების შესაბამისი ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

5.4. შემსყიდველი/დამკვეთი უფლებამოსილია:

5.4.1. განაცხადოს პრეტენზია გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით, თუ იგი არ შეესაბამება ხელშეკრულებით დადგენილ მოთხოვნებს. (პრეტენზიის განცხადების შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოფს ნაკლის/ხარვეზის გამოსწორება დაუყოვნებლივ).

5.4.2. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულების შესრულებაზე.

5.4.3. მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებით, შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო მთლიანი ღირებულების 0.2%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

6.2. ხელშეკრულების ღირებულების გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო გადასახდელი ღირებულების 0,2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებული დღისთვის.

6.3. მხარეებს ყოველთვის აქვთ უფლება მოითხოვონ ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს პასუხისმგებლობის დაკისრებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

7.2. ხელშეკრულებს მიზნებისთვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება იყოს გამოწვეული ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისგან.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადაა მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე.

8.2 წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს შემდეგ შემთხვევებში:

ა. - მხარეთა ერთობლივი შეთანხმებით.

ბ. - თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ან/და მოშალოს ხელშეკრულება და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება (ასეთის არსებობისას).

8.3. ხელშეკრულების შეწყვეტა/მოშლა ანთავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეწყვეტამდე არსებული ვალდებულებებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს მხოლოდ ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე წერილობითი ფორმით.

Digitally signed

11. დავების გადაწყვეტა

11.1. მხარეები ვალდებულნი არიან მოაგვარონ ყველა უთანხმოება მოლაპარაკების გზით, ხოლო ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას წყვეტს საქართველოს საერთო სასამართლოები თბილისის საქალაქო სასამართლოში სასარჩელო წარმოების დაწყების გზით.

12. დასკვნითი დებულებები

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების მხარეებთან.

13. მხარეთა რეკვიზიტები

"დამკვეთი"	"შემსრულებელი"
შპს ნიქოზის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი	**შპს გარემოს დაცვის კომპანია**
ს/კ: 217889266	ს/კ 433463300
მისამართი: ქ.გორი. სოფ.ნიქოზი	მისამართი: თბილისი, პაატა საკაძის ქ. N19
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი"	საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი:BAGAGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE11BG0000000539790480	ა/ა GE88TB7757836080100002
სს „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22	
ა/ა GE35LB0113131102153000	

ნიკოლოზ ძამუკაშვილი

ლაშა მურვანიძე

Nikoloz Dzamukashvili

Подписано цифровой подписью: Nikoloz Dzamukashvili
Дата: 2023.06.02 21:45:46 +04'00'

Lasha Murvanidze 26001003153

Digitally signed by Lasha Murvanidze
Date: 2023.06.02 15:57:24

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

(მომსახურების მიღება-ჩაბარებისა და

ხელშეკრულების პირობის ცვლილების შესახებ)

ქ. თბილისი 25 აგვისტო. 2023 წ.

ერთი მხრივ, შპს „გარემოს დაცვის კომპანია" (ს/კ 433643300) წარმოდგენილი დირექტორის ლაშა მურვანიძის სახით („შემსრულებელი") და მეორე მხრივ, შპს ნიქოზის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი, (ს/კ 217889266) დირექტორი წარმოდგენილი დირექტორის ნიკოლოზ ძამუკაშვილის სახით, („დამკვეთი"), მხარეთა შორის 2023 წლის 01 ივნისს გაფორმებული N08/04-23 ხელშეკრულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება მხარეთა შორის 2023 წლის 01 ივნისს გაფორმებული N08/04-23 ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1. პუნქტში და აღნიშნული ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

   „2.1. მისაწოდებელი საქონლის და მომსახურების ღირებულება განისაზღვრა წინამდებარე ხელშეკრულებას თანდართული ინვოისის რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და შეადგენს 32127.50 ლარს (ოცდათორმეტი ათასს ას სამოცდაჩვიდმეტი ლარი და 50 თეთრი) ლარს ყოველ–ჩათვლით.

2. შევიდეს ცვლილება მხარეთა შორის 2023 წლის 01 ივნისს გაფორმებული N08/04-23 ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.4. პუნქტში და აღნიშნული ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

   „2.4. გადახდა განხორციელდება ორ ეტაპად: პირველი ეტაპი - 17468.50 ლარი (ჩვიდმეტი ათას ოთხას სამოცდარვა ლარი და 05 თეთრი) ლარის გადახდა განხორციელდეს ავანსის სახით, ხოლო დარჩენილი 14709.00 (თოთხმეტი ათას შვიდასცხრა ლარი და ნული თეთრი) ლარის გადახდა განხორციელდეს სამუშაოს დასრულებიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში).

3. მხარეები ვადასტურებთ, რომ შემსრულებელმა შეასრულა, ხოლო დამკვეთმა ჩაიბარა მხარეთა შორის 2023 წლის 01 ივნისს გაფორმებული N08/04-23 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოსმახურება, შესაბამისად, დამკვეთი იღებს ვალდებულებას, აანაზღაუროს მომსახურების დარჩენილი ღირებულება - *14709.00 (თოთხმეტი ათას შვიდასცხრა ლარი და ნული თეთრი)* ლარის ოდენობით.
4. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის 2023 წლის 01 ივნისს გაფორმებული N08/04-23 ხელშეკრულების დანართს და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრ ვალდებულებათა სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.
5. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად და თითოეული მათგანი ინახება მხარეებთან.

შემსრულებელი:

შპს „გარემოს დაცვის კომპანია“

(ს/ნ: 433643300)

დამკვეთი:

შპს ნიქოზის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი,

(ს/კ: 217889266)

/----------/

Lasha Murvanidze 26001003153

Digitally signed by Lasha Murvanidze
Date: 2023.08.29 16:31:43

Nikoloz Dzamukashvili 59001027072

Digitally signed by Nikoloz Dzamukashvili
Date: 2023.08.29 19:45:23

ხარჯთაღრიცხვა				
მასალა	ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამური ფასი
ტყვიის ფურცელი	კვ.მ.	18.00	300.00	5400.00
ლითონის პროფილი (20*60*2)	მ	180.00	8.60	1548.00
ლითონის პროფილი (60*60*3)	მ	12.00	18.00	216.00
ლითონის პროფილი (80*120*3)	მ	2.00	35.00	70.00
ლითონის კიბე (100*120*100)	კვ.მ.	1.00	850.00	850.00
კაბელის არხი (60*40)	მ	10.00	4.50	45.00
კაბელის არხი (40*40)	მ	16.00	3.80	60.80
ჩამრთველი (განათების)	ც	3.00	11.30	33.90
ჩამრთველი (განათების) შეწყვილებული	ც	2.00	11.90	23.80
შესაერთებელი (შტეფცელი) (3ცალიანი)	ც	2.00	33.90	67.80
შესაერთებელი (შტეფცელი) (2ცალიანი)	ც	3.00	23.30	69.90
შესაერთებელი (შტეფცელი) (1ცალიანი)	ც	3.00	11.30	33.90
შესაერთებელი (ძალოვანი, 32ა)	ც	1.00	25.00	25.00
ელ. სადენი 3*2.5 მმ	მ	10.00	2.10	21.00
ელ. სადენი 3*4მმ	მ	10.00	2.80	28.00
ელ. სადენი 3*6მმ	მ	22.00	7.90	173.80
ელექტრო კარადა	ც	1.00	59.00	59.00
ელ. ავტომატი (16 ა)	ც	2.00	31.00	62.00
ელ. ავტომატი (25 ა)	ც	1.00	36.00	36.00
ელ. ავტომატი (63 ა)	ც	1.00	59.00	59.00
განათება	ც	10.00	33.00	330.00
განათება (შესასვლელი)	ც	1.00	50.00	50.00
ალუმინის კუთხოვანა	მ	30.00	6.00	180.00
ალუმინის ზოლოვანა (პალასი)	მ	6.00	3.90	23.40
ალუმინის გადამბები (T–სებური) (3 მ)	ც	8.00	10.00	80.00
ელ. ვენტილატორი	მ	2.00	110.00	220.00
ფანერა (1200*2440*9)მმ	ც	8.00	18.00	144.00
ლამინირებული დაფა (2100*3650*18)	ც	10.00	145.00	1450.00
ალუმინის კანტები და დაბოლოებები (3 მ)	ც	14.00	15.00	210.00
თვითმჭრელი (კოლოფი)	ც	3.00	18.00	54.00
შუასადები პენოპლასტი	შეკვრა	2.00	25.00	50.00
შლუზის კარის საკეტი	ც	2.00	160.00	320.00
სალასკა (კომპლექტი)	ც	4.00	160.00	640.00
ცეცხლმაქრი (ფხვნილოვანი)	ც	1.00	95.00	95.00
იატაკის ვინილით მოწყობა	კვ. მ.	20.00	55.00	1100.00
				13829.30
დარიცხული ხელფასი			8500.00	
გაუთვალისწინებელი ხარჯი (10%)			15212.23	
დღგ (18%)			27980.43	
გეგმიური მოგება (15%)			32177.50	
ჯამური თანხა შეადგენს	32177.50 ლარს			
თანხა სიტყვიერად	ოცდათორმეტი ათასს ას სამოცდაჩვიდმეტ ლარი და 50 თეთრი			

შპს გარემოს დაცვის კომპანიის
დირექტორი

ლაშა მურვანიძე

საპროექტო განაცხადი

პროექტის სახელწოდება: მობილური კიბოს სკრინინგცენტრის მოწყობა.

განმცხადებელი ორგანიზაცია: ნიქოზის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი

საიდენტიფიკაციო ნომერი: 217889266

მის: გორი. სოფ.ნიქოზი

პასუხისმგებელი პირი: ნიკოლოზ ძამუკაშვილი

პირადი ნომერი: 59001027072

საკონტაქტო ინფორმაცია: მობ: 551 77-88-75; 551 11-29-02;
e-mail: nikoloz.dzamukashvili@yahoo.com

პროექტის მიზანი

შიდა ქართლის რეგიონში მათ შორის ე.წ. გამყოფი ხაზის სოფლებში მცხოვრები მოსახლეობისთვის კიბოს სკრინინგის სახელმწიფო პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, დაავადების ადრეული გამოვლენა და გავრცელების შეზღუდვა.

პროექტის პოტენციური ბენეფიციარების სავარაუდო რაოდენობა

შიდა ქართლის რეგიონში, მათ შორის ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა კერძოდ: 1) 25-70 წლის ქალები დაახლოებით 75000 ბენეფიციარი. 2)50-70 წლის მამაკაცები დაახლოებით 45000 ბენეფიციარი.

პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები.

პროერტის ფარგლებში ვაპირებთ იაპონიის საელჩოს მიერ შეძენილი ავტომანქანის მოწყობას სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად რათა შემდგომში ავტომანქანაში შესაძლებელი იყვეს სამედიცინო ტექნიკის დამონტაჟება და კიბოს სკრინინგული კვლევების წარმოება.

კერძოდ: ავტომანქანის ძარაში რომლის ზომებია 7.1მX2.5მX 2.4მ უნდა იწარმოოს სხვადასხვა ტექნიკური სამუშაოები, მათ შორის: შიდა პერიმეტრზე მოეწყოს რკინის კუთხოვანი მილები ყოველ ერთ მეტრში, კედლები დაიფაროს ტყვიის 2მმ-

იანი ფირფიტით, ძარა გადაიტიხროს სამ ნაწილად და მოეწყოს შესაბამისი ელექტრო ენერგიის წერტილები, მოეწყოს ვინტილაციის და განათების სისტემები, იატაკზე დაიგოს ვინილის საფარი, ჭერი დაიფაროს კომბოზიციური მასალით, ძარას შიდა პერიმეტრი დაიფაროს თბოიზოლაციით, ხოლო თბოიზოლაციის შემდეგ კედლები დაიფაროს ლამინირებული ფურცლებით. კაბინეტებში დამონტაჟდეს კარები გორგოლაჭებზე და მამოგრაფიულ კაბინეტში დამონტაჟდეს ტყვიის შემცველი მინა. ასევე მოეწყოს კაბინეტებში ასასვლელი კიბე მოაჯირებით. კაბინეტებში დამონტაჟდეს სამუშაო მაგიდები, უსაფრთხოებისთვის ცეცხლმაქრი ბალონი და ელ. ამომრთველი ავტომატი. ავტომანქანის სარემონტო სამუშაოების შემდეგ ნიქოზის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი კაბინეტებში დაამონტაჟებს გინეკოლოგიურ და ლაბორატორიულ სავარძელს, შემდეგ კი მამოგრაფს სამუშაო კომპიუტერით, პორტატიულ ექოსკოპს და კოლპოსკოპს. საერთო ჯამში ავტომანქანა მოეწყობა ისე, რომ სამედიცინო დაწესებულებამ მივიღოთ სკრინინგული კვლევების წარმოების ნებართვა. ჩვენ უკვე აქტიურ კონსულტაციებს გავდივართ როგორც სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს სპეციალისტებთან, ასევე დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის თანამშრომლებთან რათა თითუეული ჩვენი აქტივობა შესაბამისობაში იყვეს ზემოთ ჩამოთვლილ ორგანიზაციების დადგენილ სტანდარტებთან.

როგორც მოგეხსენებათ ასეთი სახის მობილური სკრინინგცენტრი საქართველოს მაშტაბით 3 ცალი ფუნქციონირებს თბილისში ქუთაისში და ბათუმში. აქედან გამომდინარე ჩვენ შევარჩიეთ კომპანია რომელსაც გამოცდილება გააჩნია შესაბამისი ავტომანქანის მოწყობისა და ექსპლუატაციის.

პრობლემის აღწერა და საჭიროების დასაბუთება

ბოლო წლების დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით სიმსივნურ წარმონაქმნებს რეგისტრირებულ დაავადებების ჩამონათვალში ისევ მაღალი პროცენტული წილი უკავია. ხოლო სიმსივნურ დაავადებები ყველაზე ფართოდ გავრცელებულია 30-70 წლის ასაკის ადამიანებში, საიდანაც ლოკალიზაციის მიხედვით სარძევე ჯირკვლის კიბოს შემთხვევებია პირველ ადგილზე, შემდეგ საშვილოსნოს ყელის, წინამდებარე ჯირკვლის(პროსტატის) და სწორი ნაწლავის.

2011 წლიდან სახელმწიფომ დაიწყო კიბოს სკრინინგის უფასო პროგრამები სწორედ იმ სამიზნე ჯგუფებისთვის რომელშიც იყო კიბოს მაღალი გავრცელება. კერძოდ:

1)40-60 წლის ქალებისთვის სარძევე ჯირკვლს სკრინინგი, მამოგრაფიული კვლევა

2)საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი, გინეკოლოგიური ცასინჯვა, პაპ ტესტი, კოლპოსკოპია და საჭიროების შემთხვევაში ციტოლოგიური კვლევა.

3)50-70 წლის ასაკის მამაკაცებისთვის პროსტატის სკრინინგი, სისხლის იმუნოფერმენტული კვლევა.

4)50-70 წლის ასაკის ადამიანებისთვის სწორი ნაწლავის სკრინინგი.

2011 წლიდან სახელმწიფო აფინანსებს აღნიშნულ პროგრამას, რომელსაც ახორციელებს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. მათივე სტატისტიკური მონაცემების მიხედვით სკრინინგპროგრამით გამოვლენილი სიმსივნური დაავადებებიდან მე-4 სტადიის კიბოს შემთხვევები ისევ მაღალია და საერთო შემთხვევების 40%-ზე მეტს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სკრინინგი, რომელიც თავის თავში გულისხმობს დაავადების ადრეულ გამოვლენას და დროულ რეაგირებს, ფუჭს ხდის სკრინინგის არსს.

შიდა ქართლის მაშტაბით რაიონულ ცენტრში გორში ფუნქციონირებს სკრინინგპროგრამის ერთი მიმწოდებელი დაწესებულება, თუმცა სამიზნე ბენეფიციარები არ მიმართავენ დროულად და მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმართავენ ექიმ-სპეციალისტს, ან სკრინინგულ კვლევას როდესაც დაავადება შესამჩნევი ხდება მათთვის (გამოხტული ტკივილების ან ვიზუალურად, მანუალურად შესამჩნევი).

ზემოთ აღნიშნული პრობლემები განსაკუთრებით მწვავეთ დგას ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობისთვის, თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნულ მოსახლეობას 1990 წლებიდან უწევთ შედარებით სტრესულ გარემოში ცხოვრება, რასაც ემატება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი რამაც კიდევ უფრო დაამძიმა ფსიქო-სოციალური მდგომარეობა და ქვეყანაში შექმნა მრავალრიცხოვანი იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებმაც დაკარგეს საკუთარი სახლები და შემოსავლის წყარო. რათქმაუნდა აღნიშნული გარემოებები პირდაპირ ხელისშემწყობ ფაქტორებს წარმოადგენს სიმსივნური დაავადებების განვითარებისთვის.

ასევე აღსანიშნავია, რომ სოციალური მდგომარეობის, რაიონული ცენტრიდან სიშორისა და ინფორმაციის ნაკლებობის გამო ხშირად ვერ ახერხებენ ან არ თვლიან ბენეფიციარები საჭიროდ სკრინინგის ჩატარებას და მხოლოდ დაავადების კლინიკური გამოვლენის შემდგომ მიმართავენ კვლევებს რომელიც ხშირ შემთხვევაში უკვე დაგვიანებულია და მკურნალობაც არაკეთილსაიმედო.

სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია აღნიშნული პროექტის განხორციელება ნიქოზის პირველადი ჯანდაცვის ცენტრის ბაზაზე. პროექტის ფარგლებში შეძენილი ციფრული მამოგრაფთან ერთად სამედიცინო დაწესებულებას აქვს საკუთრებაში არსებული სამედიცინო ტექნიკა, მათ შორის კოლპოსკოპი, ექოსკოპი,

გინეკოლოგიური ინსტრუმენტები, გინეკოლოგიური გასასინჯი ტახტი, კლინიკური, ბიოქიმიური, იმუნოფერმენტული, ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, ყველა საჭირო ლაბორატორიული ინსტრუმენტები, რომელიც სრულყოფილს ხდის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში არსებულ სამედიცინო პაკეტს რაც ადგილობრივ მოსახლეობას საშუალებას მისცემს სოფლიდან გაუსვლელად ჩაიტაროს კიბოს სკრინინგი სრულიად უფასოდ.

პროექტის მდგრადობა

პროექტის ფარგლებში მობილური სკრინინგცენტრის მოწყობის შემდეგ ნიქოზის პირველადი ჯანდაცვის ცენტრს ოფიციალურად გადაეცემა შეძენილი მატერიალური ფასეულობა და აისახება სამედიცინო დაწესებულების ბალანსზე, რის შემდეგაც ნიქოზის პირველადი ჯანდაცვის ცენტრს ექნება სრული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც საშუალებას მოგვცემს კიბოს სახელმწიფო სკრინინგ პროგრამაში, რაც თავისთავად გულისხმობს შესრულებული სამუშაოს მიხედვით თანხის გამომუშავებას. კერძოდ: თითოეულ ფენეფიციარის კვლევაზე სახელმწიფო იხდის გარკვეულ თანხას შემსრულებული დაწესებულებისთვის, რაც გვაძლევს ხელფასების გაცემის და ხარჯების გასტუმრების საშუალებას, აღნიშნული კი უზრუნველყოფს ფინანსურ დამოუკიდებლობასა და პროექტრის მდგრადობის შენარჩუნების საშუალებას.

შპს ნიქოზის პირველადი ჯანდაცვის ცენტრს ასევე სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების განხორციელებიდან გააჩნია გარკვეული ფინანსური სახსრები საკუთარ საბანკო ანგარიშზე, რომლიც უზრუნველყობს დაწესებულების სამედიცინო სერვისების უწყვეტობას და აზღვევს სხვადასხვა გარე თუ შიდა რისკებისგან რომელიც შესაძლოა წარმოიშვას ტექნიკის დაზიანებით თუ სახელმწიფოს მხრიდან ჩარიცხვების დაგვიანებით.

შპს ნიქოზის პირველადი ჯანდაცვის ცენტრს გააჩნია მატერიალურ-ტექნიკური და ინფრასტურუქტურული ბაზა, მათ შორის ყველა საჭირო სამედიცინო ტექნიკა რომელიც უზრუნველყობს სკრინინგ პროგრამების გამართულად მუშაობას. ეს არის: კოლპოსკოპი, ექოსკოპი, გინეკოლოგიური ინსტრუმენტები, გინეკოლოგიური გასასინჯი ტახტი, კლინიკური, ბიოქიმიური, იმუნოფერმენტული, ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, ყველა საჭირო ლაბორატორიული ინსტრუმენტები.

შპს ნიქოზის პირველადი ჯანდაცვის ცენტრს გააჩნია ადამიანური რესურსი პროფესიონალი კადრების სახით: გინეკოლოგი, რადიოლოგი, ექიმოლოგი, ექიმი და ექთანი-ლაბორანტი, მძღოლი, ლოჯისტიკის მენეჯერი და ა.შ.

შპს ნიქოზის პირველადი ჯანდაცვის ცენტრს გააჩნია მნიშვნელოვანი გამოცდილება მობილური კლინიკის მუშაობის და საველე პირობებში კვლევების ჩატარების. ჩვენ 2019 წლამდე ვიდრე პანდემია დაიწყებოდა ყოველწლიურად ვატარებდით სხვადასხვა სოფლებში გასვლებს და გამოკვლევებს. ამ მხრივ შევიძინეთ მნიშვნელოვანი გამოცდილება ღონისძიების დაგეგმარების, ლოჯისტიკის წარმართვის, მოსახლეობის მობილიზების მიმართულებით, რასაც მნიშვნელოვნად წაგვადგება მობილური სკრინინგცენტრის მუშაობისას.

კიბოს სკრინინგის პროგრამაში ჩართვის შემდეგ ჩვენ ვალდებულებას ვიღებთ ადგილობრივი ექთნის პროფესიის მქონე პირის დასაქმების, რაც ძალიან გვახარებს რადგან კიდევ ერთი ადგილობრივ ოჯახს გაუჩნდება შემოსავლის წყარო. შესაძლებელია ერთზე მეტი პირის დასაქმებაც.

შპს ნიქოზის პირველადი ჯანდაცვის ცენტრს აქტიური და ახლო თანამშრომლობა აქვს შიდა ქართლის ხელისუფლებასთან, ასევე სოფლების სამედიცინო პერსონალთან და მათთან აქტიური თანამშრომლობით კიდევ უფრო ეფექტურს გავხდით მობილური სკრინინგცენტრის ფუნქციონირებას და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობას პროგრამაში.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია პროექტის ფარგლებში შეძენილი ციფრული მამოგრაფი არის ახალი და გამოცდილი ბრენდი რომელიც საქართველოს ბაზარზე აპრობირებულია და მისი სერვისიც ხელმისაწვდომია. ავტომანქანა რომლის შეძენასაც ვგეგმავთ პროექტის ფარგლებში იქნება ევროპული, მუშა მდგომარეობაში და მისი სათადარიგო ნაწილებიც და სერვისიც ხელმისწვდომია საქართველოში. მანქანა მოეწყობა ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს შესაბამისი სტანდარტებით რომლის შემდეგაც მივიღებთ ლიცენზიას.

რაც შეეხება სახელმწიფოს მიდგომას სკრინინგ პროგრამების მიმართ კიდევ უფრო აქტიურდება ძალისხმევა ამ მიმართულებით. პროგრამები 2011 წლიდან მუშაობს და კიბოს სტატისტიკის გათვალისწინებით ბოლოს 10 წლის განმავლობაში არ იგეგმება პროგრამის დასრულება.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებით პროექტის მდგრადობა შენარჩუნებული იქნება მინიმუმ 10 წლის განმავლობაში და შესაძლებელია კიდევ უფრო გაძლიერდეს.

პროექტის სინერგია სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციების სტრატეგიასთან

ჩვენი პროექტი სრულ თანხვედრაშია და სინერგიაში მიდის სახელმწიფოს ძალისხმევასთან, რომელიც მიმართულია დაავადების ადრეულ გამოვლენასა გავრცელების შეზღუდვასთან, რეპროდუქციული ასაკის ქალების

ჯანმრთელობასთან, შრომისუნარიანი მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასთან.

2011 წლიდან სახელმწიფო მთელი ქვეყნის მაშტაბით აფინანსებს კიბოს სკრინინგპროგრამებს, თუმცა როგორც ჩანს არასაკმარისია არსებული ძალისხმევა. ჩვენი პროექტი მხოლოდ და მხოლოდ აძლიერებ სახელმწიფო პროგრამების მიწოდების მაშტაბებს და ხელს უწყობს სამიზნე ბენეფიციარების მაქსიმალურ ჩართულობას სკრინინგპროგრამაში, ასევე ხელს უწყობს ინფორმირებულობის ზრდას და პოპულარიზაციას უწევს სკრინინგის მსურველთა რიგებში. მობილური სკრინინგცენტრი იმუშავებს სრული დატვირთვით, კვირაში ორი დღე იმოძრავებს შიდა ქართლის სხვადასხვა სოფლებში დანარჩენ დღეებში იმუშავებს ნიქოზის პირველადი ჯანდაცვის ცენტრის ბაზაზე და ყველა მსურველს გაუწევს ადგილზე მომსახურებას.

აღნიშნული პროექტი ასევე სინერგიაში მოდის სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ხედვებთან და სტრატეგიებთან, ამიტომ ჩვენ აქტიურად ვიმუშავებთ პროექტის გაძლიერებაზე და შემდგომში დამატებით კომპონენტებს შევძენთ რათა ჩვენი ძალისხმევა უფრო ეფექტური და შედეგიანი გავხადოთ კიბოსთან ბრძოლის მიმართულებით. აქტიურად ვიმუშავებთ მოსახლეობის ინფორმირებულობის ზრდაზე და სკრინინგის პოპულარიზაციაზე.

პროექტის განხორციელება სტრატეგიულია არამარტო ადგილობრივი მოსახლეობისთვია არამედ მთლიანად სახელმწიფოსთვის.

- პირველ რიგში სახელმწიფო ჯანდაცვითი სტრატეგიას წარმოადგენს სკრინინგ პროგრამების გაძლიერება და ხელმისაწვდომობის გაზრდა, პოპულარიზაციის და ინფორმირებულობის გაზრდის გზით.

- სახელმწიფო სტრატეგიაა პირველადი ჯანდაცვის გაძლიერება. ხოლო ნიქოზის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი წარმოადგენს პირველადი ჯანდაცვით რგოლს.

- სახელმწიფო სტრატეგიას წარმოადგენს ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

- სახელმწიფო სტრატეგიის ნაწილია მაღალმთიანი რეგიონის განვითარება.

- სახელმწიფო სტრატეგიაა ქალთა უფლებების და გენდერული თანასწორობის დაცვა, რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვა.

- სახელმწიფო სტრატეგიაა ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღდგენის ხელშეწყობა რაც თავისთავად განვითარების გზით მიიღწევა და შესაბამისად საერთო ინტერესის მქონე შეხების წერტილების სიმრავლით ყალიბდება.

	ბიუჯეტი					
1.1	იაპონიის საელჩოდან მოთხოვნილი ბიუჯეტი	91 200.00 USD X 2.61= 238 032.00 GEL				
1.2	მთლიანი ბიუჯეტი რომელიც საჭიროა პროექტისთვის	283 032.00 GEL				
1.3	პროექტის თანადაფინანსება გორის მერიიდან	15 000.00 GEL				
1.4	ჩვენი თანამონაწილეობა	30 000.00 GEL				
	დასახელება	კომპონენტი 1 ავტომანქანის შეძენა	კომპონენტი 2 მამოგრაფის შეძენა	კომპონენტი 3 მობილური სკრინინგცენტრის მოწყობა	კომპონენტი4 პროექტის აუდიტი	ჯამი
	იაპონიის საელჩო	48 285.00 GEL	186 615.00 GEL	0.00 GEL	3 132.00 GEL	238 032.00 GEL
	გორის მერია	0.00 GEL	0.00 GEL	15 000.00 GEL	0.00 GEL	15 000.00 GEL
	ნიქოზის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი	6 500.00 GEL	0.00 GEL	23 500.00 GEL	0.00 GEL	30 000.00 GEL
	ჯამი	54 785.00 GEL	186 615.00 GEL	38 500.00 GEL	3 132.00 GEL	283 032.00 GEL

ხელმოწერა: ნ.ძამუკაშვილი

პროექტის წარდგენის თარიღი: 13.06.2023წ.